„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

12 მაისი 2026

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეთორმეტე საკლუბო ჩემპიონატი 2010-2012 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის

ოქროს ლიგა

საპრიზო ფონდი 340 000 ლარი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

12 ივნისი

2026

თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- ოქროს ლიგაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება ის 16 (თექვსმეტი) კლუბი, რომელიც 2026 წლის 29 მარტს გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა 16 საუკეთესო პოზიციაზე: არსენა, აფხაზეთის ძიუდოს აკადემია, ბაგრატი 2015, გარეჯი, გლადიატორი, ელვა, ვიპ ძიუდო, თელავი, ლიდერი, მუხიანი, ოლიმპიური ვარსკვლავი, ოლიმპი, ტორნადო, შავი ავაზა, შევარდენი 2005, ჯორჯია 2.

რეგისტრაცია

- კლუბების სპორტსმენთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. განაცხადები მიიღება 2026 წლის 5 ივნისამდე
- შენიშვნა: რეგისტრაციის გარეშე კლუბები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან !!!

IV. შეჯიბრების პირობები, დრო, ადგილი, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 12 ივნისს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 11 ივნისი, წასვლის დღე - 13 ივნისი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო). დამატებითი დრო განისაზღვრება „ოქროს ქულამდე“.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში 5 წონით კატეგორიაში: -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ;

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება 11 და 12 ივნისს ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
  11 ივნისი - 17:00 – 18:00 საათებში;

12 ივნისი - 9:00 – 9:30 საათებში.

- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

VII. საპრიზო თანხა

ოქროს ლიგის საპრიზო თანხად განსაზღვრულია 340 000 (სამას ორმოცი ათასი) ლარი, რაც ნაწილდება კლუბებზე შემდეგნაირად:

I ადგილი _ 50 000 ლარი	IX-XII ადგილი _ 15 000 ლარი
II ადგილი _ 40 000 ლარი	IX-XII ადგილი _ 15 000 ლარი
III ადგილი _ 30 000 ლარი	IX-XII ადგილი _ 15 000 ლარი
III ადგილი _ 30 000 ლარი	IX-XII ადგილი _ 15 000 ლარი
V ადგილი _ 25 000 ლარი	XIII-XVI ადგილი – 10 000 ლარი
V ადგილი _ 25 000 ლარი	XIII-XVI ადგილი – 10 000 ლარი
VII ადგილი _ 20 000 ლარი	XIII-XVI ადგილი – 10 000 ლარი
VII ადგილი _ 20 000 ლარი	XIII-XVI ადგილი – 10 000 ლარი

საპრიზო თანხების განკარგვის მიზნით კლუბებს ევალებათ ამ ჩემპიონატიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა შემდეგი პრინციპის მიხედვით:

1. არაუმეტეს საერთო თანხის 25% - კლუბის მწვრთნელ(ებ)ის ხელფასები.
2. საერთო თანხის 40% - შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენთა სტიპენდირება.
3. საერთო თანხის 25% - კლუბის განვითარებისათვის სავარჯიშო ინვენტარი, კიმანოები, სასწავლო შეკრების მოწყობა. ფედერაციასთან შეთანხმებით სხვა აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს კლუბის განვითარებას.
4. საერთო თანხის 10% - საკუთარი შეხედულებით განკარგვა.
5. დაუშვებელია კლუბის მიერ სპორტსმენთათვის განკუთვნილი სტიპენდიის ერთჯერადად ჩარიცხვა, თანხა უნდა განაწილდეს მინიმუმ 6 თვის განმავლობაში.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466; registr.gjf.@gmail.com
კონტაქტი: ზურაბ უსუფაშვილი 577994407.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოიყვანენ სხვა კლუბის სპორტსმენებს მოიხსნებიან, როგორც ამ შეჯიბრებიდან, ასევე 3 წლის განმავლობაში მიეცემათ დისკვალიფიკაცია. კლუბს სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ ეს სპორტსმენი მინიმუმ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მაინც ვარჯიშობს ამ კლუბის რომელიმე მწვრთნელთან და მას არ უასპარეზია სხვა კლუბში წინა საშეჯიბრო წლის განმავლობაში.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის დასაშვებია 1 კგ ზედმეტი წონა.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე